საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

2024 წლის 9 ივლისი

# დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობის პირველი კვირა

## ბირჟის მონაწილეები

ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარზე პირველი აუქციონი ჩატარდა 2024 წლის 1 ივლისს. პირველ აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო ოთხი მონაწილე. ვაჭრობის პირველი კვირის განმავლობაში ბირჟაზე დამატებით დარეგისტრირდა ორი მონაწილე. რეგისტრირებული მონაწილეების სია, ბაზრის წესების შესაბამისად, გამოქვეყნებულია სენბის ვებგვერდზე.

## მოთხოვნა და მიწოდება

პირველი კვირის განმავლობაში აგრეგირებული მოთხოვნის რაოდენობა განსხვავდებოდა როგორც დღის ჭრილში საათობრივად, ასევე კვირის ჭრილშიც დღეების მიხედვით. ყველაზე მაღალი აგრეგირებული მოთხოვნა, 57 მგვტ.სთ, დაფიქსირდა 6 ივლისის 19:00-20:00 მიწოდების პერიოდისთვის.

პირველი კვირის განმავლობაში, ელექტროენერგიის გამყიდველების მიერ შეთავაზებული ელექტროენერგიის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა დღეების მიხედვით. მაქსიმალური აგრეგირებული მიწოდება, 20.6 მგვტ.სთ, დაფიქსირდა 6 ივლისის მიწოდების დღის 09:00-22:00 პერიოდში.

*ნახაზი: აგრეგირებული მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკა*



2024 წლის 9 ივლისი

მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობისგან განსხვავებით, ძალიან მცირედით იცვლებოდა განაცხადების ფასები. ელექტროენერგიის მყიდველების გადახდაზე მზადყოფნა პირველი კვირის განმავლობაში არ შეცვლილა - ისინი მზად იყვნენ 1 მგვტ.სთ ელექტროენერგიაში გადაეხადათ 122.75 ლარი (12.275 თეთრი/კვტ.სთ). ელექტროენერგიის გამყიდველების მხრიდან არის შეთავაზებული ფასის მცირედით შემცირების დინამიკა. 2024 წლის 6 ივლისის მიწოდების დღისათვის ელექტროენერგიის მცირე რაოდენობა შეთავაზებული იყო კვირის ყველაზე დაბალ ფასად - 126 ლარი/მგვტ.სთ (12.6 თეთრი/კვტ.სთ).

***ნახაზი: დღით ადრე ბაზარზე შეთავაზებული ფასები***




როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი კვირის განმავლობაში უფრო ნაკლები აქტივობა დაფიქსირდა ელექტროენერგიის დღიურ ბაზარზე. მონაწილეების უფრო მცირე ნაწილი ათავსებდა დღიურ ბაზარზე განაცხადს, პირველი კვირის ცალკეულ დღეებში.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

2024 წლის 9 ივლისი

## ტრანზაქციები

***ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვა***

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბაზრის გახსნის ამ ეტაპისთვის არც თუ ისე მცირე რაოდენობის ელექტროენერგიის როგორც ყიდვის, ისევე გაყიდვის სურვილი მონაწილეთა მხრიდან, ვაჭრობის პირველ კვირაში დღით ადრე და დღიურ ბაზარზე ტრანზაქცია არ შემდგარა. პირველი კვირის განმავლობაში, თითოეული საათისათვის მყიდველების გადახდისთვის მზადყოფნა ნაკლები იყო გამყიდველების მიერ შეთავაზებულ მინიმალურ ფასზე.

ნახაზზე მოცემულია 2024 წლის 6 ივლისის 12:00-13:00 საათში მიწოდებისა და მოთხოვნის აგრეგირებული მრუდები. როგორც ნახაზზე ჩანს, მრუდების გადაკვეთა არ ხდება, ვინაიდან მყიდველისა და გამყიდველის მიერ დაფიქსირებულ ფასებს შორის არის სხვაობა - ამ შემთხვევაში, 3.25 ლარი/მგვტ.სთ (0.325 თეთრი/კვტ.სთ). ანალოგიური მდგომარეობა იყო მიწოდების სხვა პერიოდებისთვისაც.

***ნახაზი: 2024 წლის 6 ივლისის 12:00-13:00 საათში მიწოდებისა და მოთხოვნის აგრეგირებული მრუდები.***



საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

2024 წლის 9 ივლისი

**როგორც განსაზღვრავს მონაწილე რა ფასად გაყიდოს ენერგია და რამდენი გადაიხადოს მასში?**

ბაზრის გარდამავალ მოდელში, ბირჟაზე ივაჭრება საათობრივი პროდუქტები, ხოლო დაბალანსების პერიოდი (რომლის განმავლობაშიც ხდება ნავაჭრი ელექტროენერგიისა და ფაქტობრივი წარმოების/მოხმარების შედარება), არის თვე.

შესაბამისად, მონაწილეს ყოველთვის აქვს ალტერნატივა - თუ იგი ვერ გაყიდის ელექტროენერგიას ბირჟაზე, გაუყიდავი ელექტროენერგიის გაყიდვის შესაძლებლობა კვლავაც ექნება მომავალში, ორმხრივი ხელშეკრულებით ან საბალანსო ელექტროენერგიის სახით. შესაბამისად, მონაწილის მიერ ყიდვისა და გაყიდვის განაცხადში დაფიქსირებული ფასი ასახავს მის მოლოდინებს ორმხრივი ხელშეკრულებისა და საბალანსო ელექტროენერგიის ფასებთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ მონაწილე მოელის, რომ მას ექნება შესაძლებლობა, ელექტროენერგია ორმხრივი ხელშეკრულებით გაყიდოს 120-140 ლარი/მგვტ.სთ შუალედში, იგი სწორედ ამ მოლოდინის გათვალისწინებით სთავაზობს ბირჟაზე ელექტროენერგიას.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მყიდველების შემთხვევაში.

**პირველი კვირის შეფასება**

პირველი კვირა მონაწილეებისთვის იყოს ვაჭრობის ახალი შესაძლებლობების გამოყენების მცდელობის კვირა. ბირჟის ოპერატორი აკვირდებოდა მცირე ცვლილებებს შეთავაზებების სტრატეგიებში, რომელიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ივლისის თვეში ფასის ცვლილების მოლოდინს.

ამ დროისთვის საბითუმო ბაზრის მონაწილეების მხოლოდ მცირე ნაწილია რეგისტრირებული ბირჟაზე, უფრო მეტი მათგანი არის დაკვირვების რეჟიმში. დაკვირვება მოიცავს როგორც შემდგარი ტრანზაქციების, ასევე შეთავაზებულ ფასებზე დაკვირვებას.

სენბი მომავალშიც გააგრძელებს ბირჟაზე მიმდინარე პროცესების შეფასებას და პერიოდულად გამოაქვეყნებს მის შეფასებებს.